ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 4. ქვირა, 2 სექტემბერი, 1901 წ. გაზეთის № 1570.

ანტონ კათალიკოზი

იულონ ბატონიშვილი

მოხუცი მილონი

გიუ დე მოპასანისა

(დასასრული *)

ამ მკვლელობის ჩადენის შემდეგ, მოხუცს ერთი აზრი-ღა ასულდგმულებდა: „ქლეტა პრუსიელებისა!“ მოხუცს სძულდა პრუსიელები, ისეთის გულ-ჩათხრობილისა და გამწარებულის სიძულვილითა, როგორთაც გლეხსა და მამულის-შვილს შეუძლიან. როგორც თვითონ ამბობდა, იმას თავის განზრახვა ჰქონდა, მაგრამ რამდენიმე დღე ჯერ კიდევ მოიცადა.

მოხუცი იმდენად წყნარი, მორჩილი და თავაზიანი იყო გამარჯვებულთა წინაშე, რომ ნებას აძლევდნენ თავისუფლად წასულიყო ყველგან, სადაც მოისურვებდა. ამასთან იგი ყოველ ღამ ჰიდავდა, როგორ ჰგზავნიდნენ აქეთ-იქით რაზმებს; ერთხელ, ღამე, გამოვიდა რა გარეთ, გიგონა იმ სოფლის სახელი, სადაც ცხენოსნებსა ჰგზავნიდნენ; მოხუცმა ჯარის-კაცებისაგან უკვე ისწავლა ორიოდე გერმანული სიტყვა.

მოხუცი ეზოდან გავიდა, ჩუმად ტყეში შეიპარა იმ ადგილამდე, სადაც გიპსსა სწვავდნენ; შემდეგ გრძელი გაღლეერეია გაიარა იქ მოკლულის კაცის ტანისამოსი ჰნახა და ჩაიცვა.

ამ ტანისამოსში გამოწყობილმა მინდორში დაიწყო სიარული; მოხუცი მოკაკული მიდიოდა, ხან ხოხვით, ხან კიდევ ბეგრობებს ეფარებოდა და, როგორც ქურდი, მოუთმენლად სულ-განაბული ყურს უგდებდა ხმაურობას.

*) იხ. „ცნ. ფურც.“-ის დამატება № 3.

როდესაც, იმის აზრით, მოახლოვდა ეამი, მოხუცი ისევ მივიდა გზის ნაპირას და იქვე ბუჩქებს ამოეფარა და იცდიდა. ბოლოს, შუაღამისას გატეკეცილს გზაზედ ცხენისფეხის ხმა მოისმა. მოხუცმა მიწას ყური დაადო, რათა გაეგო, გზაზედ ერთი ცხენოსანი მოდიოდა თუ მეტი, და მოემზადა.

ულანი თოხარიკით მოაქანებდა ცხენს, განუწყვეტლივ აქეთ-იქით იყურებოდა და გულ-დასმით ყოველსაე ხმაურობას ყურს უგდებდა. მხედარს თან დებეშები მოჰქონდა. როდესაც ათ ნაბიჯზედ მოუახლოვდა მილონს, მოხუცი ცოცვით გზაზედ გავიდა და გულ-საკლავად დაიწყო ყვირილი: „Hilfe! Hilfe! მიშველეთ! მიშველეთ!“-ო. მხედარმა ცხენი შეაჩერა, იცნო გერმანელი, იფიქრა—უთუოდ დაჭრილიაო, გადმოხტა ცხენიდან, არაფრის არ მომლოდინი უშიშრად მიუახლოვდა და სწორედ იმ დროს, როდესაც დაიღუნა დასათვალიერებლად, მოხუცმა გრძელი, მოკაკული ხანჯალი პირდაპირ მუცელში დასცა. მხედარი მოკვდა ხმა-ამოუღებლივ, მხოლოდ რამდენჯერმე შეჰკანკალდა.

სახე გაბრწყინვებული და გახარებული გლეხი ფეხზედ წამოიჭრა; მოხუცმა გულის საჯერებლად გვამს თვალის დახამხამებაზე ყელი გამოსჭრა, შემდეგ თხრილამდე მიათრია და იქ გადაგდო.

ცხენი წყნარად ელოდა თავისს პატრონს. მოხუცი მილონი შეჯდა და ჭენებით გაუდგა გზას.

ერთი საათის შემდეგ შენიშნა კიდევ ორი ულანი, რომელნიც ერთად ბანაკში მიდიოდნენ. მოხუცმა პირდაპირ იმათკენ გააქანა ცხენი და დაუძახა „Hilfe! Hilfe!“ პრუსიელებმა ნება მისცეს ახლო მისულიყო, რადგანაც თავიანთი კაცი ეგო-

ნათ. მოხუცმა, ელვასავით გაირბინა იმათ შუა და ხლმითა და რეკოლვერით ერთიც მოჰკლა და მეორეც.

შემდეგ თავი გააგდებინა მათ ცხენებს, მერე ფრთხილად მიაღწია გიპსის საწვავ ღუმელამდე და იქ, ბნელს გალერეიაში, დამალა ერთი ცხენი. იქვე გიიხადა მუნდირი, ჩაიცვა თავისი ლარიბული ტანისამოსი, საწოლთან მივიდა დაწვა და გათენებამდე ეძინა.

ოთხი დღე გარეთ აღარ გამოსულა, ელოდა უკვე დაწყებულ გამოძიების გათავებას. მეხუთე ღამეს ისევ გაუდგა გზას და ისეთისავე ეშმაკობით მოჰკლა ორი ჯარის-კაცი. ამის შემდეგ უკან აღარ დაუბრუნდა. ყოველ ღამე დაძრწოდა, დადიოდა, ჰხოცავდა პრუსიელებს ხან აქ, ხან იქ, დაჰკენებდა მინდორში ცხენს ეს გზა-კვალ დაბნეული ულანი, მონადირე კაცებზე. შემდეგ, გაათავებდა რა თავისს საქმეს და სტოვებდა რა გზაზედ მოკლულთა გვამებს, მოხუცი ბრუნდებოდა გიპსის საწვავ ღუმელთან ტანისამოსის და ცხენის დასამალავად.

შუადღისას მოხუცს არხეინად თავი და წყალი მიჰქონდა გვირაბში დამალულ ცხენისთვის, აძლევდა ბალომად საკვებს და ამით დიდ და ძნელ მუშაობას თხოულობდა იმისგან.

მაგრამ ბოლოს ერთმა იმთავნამ, ვისაც თავს დაეცა, წინადვე მომზადებულმა, ხმლით სახე გაუპო მოხუცს.

ამისდა მიუხედავად, მილოწმა მაინც ორივე მოჰკლა. ამასთან შესძლო ცხენის დამალვა და ტანისამოსის გამოცვლა, მაგრამ დაბრუნდა თუ არა სახლში, საოცარი სისუსტე იგრძნო, ძალამ უღალატა, ოთახამდე ვეღარ მიაღწია და საჯინიბოში შეეყარა.

აი, სწორედ [illegible] იპოვნეს მოხუცი, მთლად სისხლში მოსვრილი, ჩალაზედ მწოლარ[illegible].

***

გაათავა თუ არა ლაპარაკი, [illegible] ხუცმა თავი მაღლა აიღო და ამაყად შეხედა პრუსიელ ოფიცერს.

პოლკოვნიკმა ულვაშების [illegible] ჰკითხა:

— აღარა გაქვთარა სათქმელ[illegible]?

— არა, არაფერი; ანგარიში ნამდვილია: სწორედ თექვსმეტი მოკვლილი, არც მეტი და არც ნაკლები.

— იცით, რომ სიკვდილი მოგელით?

— შეწყალება არც მითხოვია თქვენთვის.

— ჯარის-კაცად ყოფილხართ?

— ვყოფილვარ, თავის დროზედ ომშიაც ვყოფილვარ, ამასთან თქვენ მოჰკალით მამა ჩემი, რომელიც ჯარის-კაცად ჰირველ იმპერატორის დროს მსახურებდა. ამას გარდა წარსულ თვეს ევრესთან მოჰკალით აგრეთვე ჩემი უმცროსი შვილი, ფრანცი. თქვენი [illegible]ვალი მემართა, და გადავიხადე: ეხლა გასწორებულნი ვართ.

ალექსანდრე პატრონიშვილი

აფიცრებმა ერთმანეთს გადახედეს.

მოხუცმა განაგრძო:

— რვა მამი ჩემისა, რვაც ჩემი შვილისათვის, ეხლა აღარაფერი გვმართებს ერთმანეთისა. მე არ ვეძებდი თქვენთან ჩხუბს, არა! მე თქვენ არ გიცნობთ! ისიც კი არ ვიცი, საიდგანა ხართ. მოხვედით და როგორც შინ, ისე ჰბატონობთ ჩემს სახლში. სხვათა მაგიერ შური ვიძიე და არცა ვნანობ ამას.

ამ სიტყვებთან ერთად მოკაკული მოხუცი წელში გასწორდა, ხელები გულზედ დაიკრიფა და გმირის სახე მიღო.

პრუსიელები დიდხანს ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. ერთი კაპიტანი, რომელმაც აგრეთვე წარსულ თვეში დაჰკარგა შვილი, იცავდა მოხუცს.

მაშინ პოლკოვნიკი ფეხზედ წამოდგა, მიუახლოვდა მოხუც მილონს და დაბალის ხმით სთქვა.

— მოისმინე, მოხუცო, იქნებ არის ისეთი საშუალება, რომ სიკვდილს გადაგარჩინოთ.....

მაგრამ მოხუცი ყურს არ უგდებდა; იგი დაკვირვებით უცქერდა გამარჯვებულს ჯარის უფროსს როდესაც ქარი თხელ თმებს უფრიალებდა თავზე. ბოლოს მოხუცი საშინლად დაიცინა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შიგ სახეში მიაფურთხა გერმანელს.

ჯარის უფროსი მთლად შეიშალა სიანჩხლისაგან. ის იყო უნდა დაერტყა, როდესაც მოხუცმა მეორეთ მიაფურთხა სახეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფიცრები ხელად წამოხტნენ თავიანთ ადგილებიდან, ყველანი ერთად ჰყვიროდნენ, ბრძანებას აძლევდნენ.

მილონი, რომელიც ულინდელებრ მშვიდათ იდგა, ერთი წუთის შემდეგ კედელთან დააყენეს და დახვრიტეს იმ დროს, როდესაც მოხუცი ულიმოდა ცოლს, თავის უფროს ვაჟს, თავის ძალას და ორს შვილი-შვილს, რომელნიც დადონებულნი დგულ-მოკლულნი შესცქეროდნენ.

ოდბეკ

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲑᲐ

(ᲥᲐᲢᲣᲚ ᲛᲘᲜᲓᲕᲘᲡᲘᲡᲐ)

ტუკ! ტუკ! ტუკ!

— ვინ არის?

— გამიღე, მე გახლავართ!

— ამ დროს?! ხომ არ გაგიჟებულხართ, ყმაწვილო! ადექ ეწვები, ტანთ ვიხდი. ცალი ფეხი უკვე გახდილი მაქვს.

— მეორეს მე ვაგზდით.

— თავხედო! მიბრძანდით.

— მიყვარხართ.

— მერმე ვინ იქნება, რომ არ ვუყვარდე!

— თავს გაგწირავ თქვენთვის.

— რა მენაღვლება?

— ნორჩი ვარ.

— და მიამიტი. წადით, წადით.

— ლამაზი ვარ.

— და ბაქია. წადით, მეთქი.

— მდიდარი ვარ.

— და სულელი. წადით, თორემ დავიყვირებ.

— თქვენს მეგობრის კლუმანტინის საყვარელი ვარ.

— ღმერთო ჩემო! აქამდე ვერ მეტყოდით?! — გაუწყრა ქალი და კარი გაუღო.

მახლას.

ᲒᲔᲤᲮᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲬᲘᲐ.

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ

ედისონის ახალი მანქანა. გამოჩენილმა ედისონმა კვლავ მიიპყრო მთელის ამერიკისა და ევროპის ყურადღება. მან გამოგონა და გააკეთა შესანიშნავი მანქანა—ახალი ელექტრონული აკუმულატორი. აკუმულატორი ჰქვია მანქანას, რომელიც აგროვებს ელექტრონის ძალას. ამგვარი მანქანა ახლაც არის, მაგრამ ედისონმა მოიგონა პატარა და მეტად იაფი ფასის აკუმულატორი, რომელიც ბევრ ძალას აგროვებს სულ მცირე დროს განშვალობაში. ედისონის აკუმულატორი, როგორც ამბობენ, ნამდვილ სასწაულს მოახდენს. ის ყველას შეუძლია შეიძინოს, ისე იაფია, და გამოიყენოს მრავალგვარ საჭიროებისთვის. ცხენი საჭირო აღარ იქნება, რადგანაც ყოველ მეეტლეს აკუმულატორი ბევრად უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე ცხენის ყიდვა და შენახვა. ედისონის აკუმულატორი დიდ სამსახურს გაუწევს აგრეთვე მიწადმოქმედთ და ხელოსანთ მუშაობის დროს. ედისონის აკუმულატორი უკვე გამოსცადეს სწავლულ-სპეციალისტებმა და გაოცებაში მოვიდნენ მის სიმარტივისა და სასარგებლო მოქმედებისაგან.

* * *

მეხსიერების გაწრთვნა. მეხსიერება ისეთი ნიჭია, რომლის გაწრთვნა არ არის ძნელი, ნამეტურ ბავშობიდან. როგორ მაღალ ხარისხამდე შეიძლება მეხსიერების გაწრთვნა, ამტკიცებს იტალიელ პროფესორის არლინის მაგალითი. ამას წინად, ნეაპოლში, მრავალის საზოგადოების წინაშე, არლინმ წაიკითხა ზეპირად დანტეს შესანიშნავი პოემა „სამოთხე კომედია“, რომელიც შესდგება 15.350 სტრიქონისგან. არლინი ერთხელაც არ შეჩერებულა და ერთი შეცდომაც არ მოსულია. რამდენჯერმე შესწყვეტა პოემის გადაცემა მხოლოდ იმიტომ, რომ გამშრალი ყელი წყლით მოელბო. არლინი ლაპარაკობდა საღამოს 8 საათიდან დილის სამ საათ ნახევრამდე. მისის სიტყვით, მეხსიერების ასეთ გაწრთვნას ის ყმაწვილობიდანვე შეუდგა და მაინცა და მაინც ეს საქმე არ გასჭირვებია.

* * *

გერმანიის მემკვიდრე. ამას წინად გერმანიის იმპერატორის უფროსი ვაჟი შვილი და მემკვიდრე უნივერსიტეტში შევიდა სტუდენტად. გაზეთები ამბობენ, ამ მემკვიდრეს ისეთივ მკაცრი და თვით ნებიერი ხასიათი აქვს, როგორიც მამასაო. შემდეგს ანეკდოტს გადმოგვცემენ მის შესახებ. 11 წლისა იყო, როდესაც ერთხელ თავის უმცროს ძმასთან ერთად იმპერატორის მისაღებ ოთახში თამაშობდა. ოთახში შემოვიდა ერთი მინისტრი, დასტოცა ქუდი და იმპერატორის კაბინეტში შევიდა. მემკვიდრემ მოინდომა ქუდის გახვრეტა და თავის უმცროს ძმას უბძანა, ეხლავე ეს ქუდი უნდა გახვრიტოო. ძმამ არ გაუგონა.—ეხლავე დაჯექი ქუდსა, გეუბნები, არ გესმის, მე გიბძანებ. ძმა კიდევ ყოყმანობდა. მაშინ მემკვიდრემ დაუყვირა: „მე შენ გიბძანებ, ტახტის მემკვიდრე ვარ და შენი ბატონი!“ იმპერატორმა მაგშვების ყვირილი გაიგონა, გამოვიდა, გაიგო რაში იყო საქმე და მემკვიდრეს ცემა დუწყო ამ სიტყვებით:— „თუ შენ მემკვიდრე ხარ, მე კიდევ იმპერატორი ვარო!“

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზში, „ეტუალის“ უბანში ზამთრის სუსხიან ღამეს დედა შეაშინა პატარა შვილის ხველამ და იმ წამსვე დედამ ტელეფონით შეატყობინა ექიმს. ექიმმა ტელეფონითვე მისცა დედას რამდენიმე კითხვა უეცარ ავადმყოფობის შესახებ და დარწმუნდა, რომ საშიში არა სჭირდა რა ბავშვს. მაგრამ დედა მაინც სწუხდა და სთხოვდა ექიმს, უთუოდ მოსულიყო. გაბეზრებულმა ექიმმა შემდეგი თავისებური საშუალება მოიგონა ავადმყოფის თავიდან მოსაშორებლად: მოაყვანინა ბავშვი ტელეფონთან, ტელეფონის საშუალებით მოისმინა მისი ხველა და გამოუცხადა დედას: „ნუ გეშინიან, ეს ხველა საშიში არ არის, უბრალო გაცივება და არავითარი ნიშნები ანთებისა არ არის. დაწექით და მეც მომასვენეთ“. ესეც ახალი მოხმარება ტელეფონისა!

* * *



კამოფენის კახსნის წინა დღეები.

ორ ავტორს ერთი პიესა დაუწერიათ და რადგან ეს პიესა პირველი იყო, ერთი ეუბნება მეორეს:

— იცი, მეგობარო, მე ითითაც კმაყოფილი დავრჩები, თუ ჩვენი პიესა ნახევრადაც მოეწონება საზოგადოებას.

— შენ გავიწყდება, რომ პიესა ორისაა და მაშასადამე თითოს მხოლოდ მეოთხედი მოწონება შეგეხვდება.

* * *

ახლად გარდაცვალებული იტალიის შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწე შესანიშნავი კონსპირატორი იყო. აი ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან: 1856-ში კრისპი პარიზში იყო და მონაწილეობას იღებდა „კურიერ-ფრანკო-იტალიენ“-ის რედაქციაში. კრისპი შეთქმულებას აწყობდა ქმაძინის ხელმძღვანელობით, ნაპოლეონ მესამეს წინააღმდეგ.

ერთ დღეს, როცა იგი რედაქციაში მივიდა, მეკრე ეუბნება:—ბატონო კრისპი, თქვენს სახელზე დიდი თვეზი მოვიდა. (ეს იყო ექვსს აპრილს).—ჩვენ მეგობარო, პირველი აპრილი ექვსის დღის წინაო იყო.

— არა, ბატონო კრისპი, მე როგორ გაგიბედავთ გეხუმროთ. მე მართალს მოგახსენებთ—მოგივიდათ დიდი, მშვენიერი თვეზი. ვნებავთ, ეხლავე მოგარომეეთ.

— კარგი, მომიტანე.

მართლაც მეკარემ მშვენიერი თვეზი მოიტანა. იგი გამოგზავნილი იყო ქ. ანვერიდან, სადაც კრისპის არც ერთი ნაცნობი არ ჰყოფდა. მან იქვე გაპრეკვინა თვეზი და შიგ აღმოჩნდა გაქონილ ქაღალდში გახვეული რამდენიმე ათასი ბრონზური მაძინისა. მოკლე ხანში, ბანდეროლით გაგზავნილი ბრონზურები მოვდო მთელს საფრანგეთს.

პოლიცია ფიცხელ გამოძიებას შეუდგა და სხვათა შორის კრისპიც დაატუსაღეს. მაგრამ ვერაფერი უპოვნეს და იძულებული შეიქნენ გაენთავისუფლებინათ. შეწუხებულმა პოლიციის უფროსმა, ცნობილმა პიეტრიმ, მწუხარებით სთქვა:

— კრისპი უფრო გაქნილია, ვიდრე მისი მასწავლებელი მაძინი. იგი არასოდეს არა სწერს.

სურათების განმარტება

გეფხვის ტანჯვა. საფრანგეთის ცნობილ მხატვარს, ჰ. რიბერას მოუწადინა სურათით გამოეხატა ქალის ხასიათი. ქალი, გვეუბნება ის თავის სურათით, იგივე ვეფხვია: მკაცრი, დაუნდობელი, მოხერხებული, ცბიერი არსება, რომელიც მომხიბლავ კლანჭებით ჩაითრევს კაცს და შემდეგ გულს მწარედ გაუკრავს.

რედაქტორი: ალ. ჯეფარიძე

გამომცემელი ალ. ჯაბადარი

ვამეთი „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით და ჟურნალი „მოამბე“ 1-ლ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთად ქალაქ ვარეთ ხელის-მომწერთათვის და 4 მან. და 50 კან. ტფილისის მცხოვრებთათვის.

ცალკე ნომერი ვამეთისა სურათებიანი დამატებით ღირს 5 კაპეიკად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Сентября, 1901 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.